ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი — კვირა, 4 — 5 მარტი, 2017

№53 (7288)

ფასი: 50 თეთრი

## რუსთავი 2-ის საქმის გამო საქართველოს ვიზალიბერალიზაცია შეუჩერდება?




გვ.6

## 3 მარტიდან

გია ბუღაძე

## 200 ამბავი მხატვრობაზე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# ნიკა გვარამია: „სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა“

12 მარტს რუსთაველზე დიდი აქცია გაიმართება



გვ.4

## როგორ იცვლებოდნენ მფლობელები რუსთავი 2-ში

გვ.5

ტელეკომპანიის 23-წლიანი ისტორია



# „რუსთავი 2-ის წაღებით ხელისუფლებამ მხოლოდ თავი დაიზიანა“

გია ხუხაშვილი: „ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოვხვდი ხალვაშის მმართველობის დროს რუსთავი 2-ის შავ სიაში“



გვ.2




## „ბესპრედელი“ სავალუტო ბაზარზე



გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## გელა ნიკოლაიშვილი: „თავის დროზე ქიბარ ხალვაშიც რუსთავი 2-ის წამრთმევი იყო“



ნიკა რურუა: „რუსთავი 2 ივანიშვილმა დამორჩილებული სასამართლოს ძალით ჩაახშო“

გვ.4



## გიორგი კახიანი: „მთავარია, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლების ზეწოლისგან“



გვ.3

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# „რუსთავი 2-ის წაღებით ხელისუფლებამ მხოლოდ თავი დაიზიანა“



## გია ხუხაშვილი: „ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოვხვდი ხალვაშის მმართველობის დროს რუსთავი 2-ის შავ სიაში“

შორენა მარსაგიშვილი

**დაადგა თუ არა ქვეყანა ჩრდილოეთ კორეად გადაქცევის გზას, რატომ დარჩნენ ევროპელი პოლიტიკოსები შეურაცხყოფილები, რა პრობლემები შეექმნება ხელისუფლებას და რატომ არის უადგილო მათი ზეიმი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა.**

– რუსთავი 2-ის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ ბევრმა თქვა, რომ ქვეყანა ჩრდილოეთ კორეად ქცევის გზას დაადგა. თქვენი აზრით, დაემსგავსება თბილისი ფხენიანს?

– ტენდენციები ძალიან შემაშფოთებელი, მაგრამ არც სიტუაციის ასე დრამატიზებაა საჭირო. პირადად მე შექმნილი ვითარება ჩრდილოეთ კორეაზე მეტად სააკაშვილის პერიოდს მაგონებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენ ერთ მანკიერ წრეზე ვტრიალებთ – სისტემა ახერხებს ნებისმიერი ხელისუფლების გარყვნას და შემდეგ მის მძევლად აყვანას.

სიმართლე რომ გითხრათ, ამ შემთხვევაში მედიაზე მეტად სასამართლო სისტემა მაშფოთებს. ადამიანებს აღარ სჯერათ სასამართლოსი, რაც ბევრად უფრო მძიმე შედეგის მომტანია, ვიდრე მედიათავისუფლება და მედიაპლურალიზმი.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში აღარ დარჩა არც ერთი ავტორიტეტული ინსტიტუტი, ერთი ეკლესია იყო შემორჩენილი და იქაც ვხედავთ, რაც ხდება. დღეს ყველა ინსტიტუტი არის გადღაბნილი და ინტეგრირებული რაღაც გაუგებარ ერთპოლუსიან სისტემაში.

მეტსაც გეტყვით, არა მხოლოდ ინსტიტუციური, არამედ პიროვნული ავტორიტეტებიც აღარ არსებობენ, ვინმეს რამე რომ დაეჯერებოდეს. ამის მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეამდე კიდევ ბევრი გვიკლია. შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ ჩრდილოეთ კორეა არასდროს გავხდებით.

***– ამ პროცესს ვინ შეუშლის ხელს?***

– ხალხი. ის აუცილებლად მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ძალიან მტკივნეული იქნება ხელისუფლებისთვის.

***– სახალხო მღელვარების დაწყებაზე ბევრი პროგნოზი კეთდება. გახდება თუ არა ამის დაწყების მიზეზი რუსთავი 2-ის ამბავი? მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ ასევე ბევრი ამბობს, რომ ეს ტელეკომპანია არ არის თავისუფალი სიტყვის სიმბოლო და მის გამო ქუჩაში არ გავლენ.***

– შექმნილ ვითარებას ყველა თავისი პოზიციიდან უყურებს და სწორედ ესაა უბედურება. ხელისუფლება სრულიად საფუძვლიანად აქვს იმის იმედი, რომ ეს საქმე დიდ სახალხო მღელვარებას არ გამოიწვევს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოების წინაშე რუსთავი 2-საც აქვს თავისი ცოდვები, ისევე, როგორც იმ ძალას, რომელთანაც ის არის გაიგივებული.

ახლა ისინი ყველანი საკუთარ წარსულს უპირისპირდებიან. ეს მოსალოდნელიც იყო. ცხოვრება ისეა მოწყობილი, თავის ცოდვაზე ადრე თუ გვიან ყველა აგებს პასუხს. ეს ასეა, მაგრამ პრობლემაა ისაა, რომ საბოლოო ჯამში საზოგადოება ზარალდება.

რუსთავი 2 იმ სარედაქციო პოლიტიკით, რომლითაც ბოლო პერიოდში მუშაობდა, არ იყო სახიფათო. მეტსაც გეტყვით, ასეთი რუსთავი 2 ხელისუფლებისთვის საჭიროც კი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ის რომელიღაც პოლიტიკურ ძალას უკავშირდება.

მედიაპროპაგანდა სახელმწიფოებრივად მხოლოდ იმ შემთხვევაშია სახიფათო თუ ის ხელისუფლებასთან არის გაიგივებული. ხელისუფლებას აქვს მონოპოლია ძალადობაზე და მედია, რომელიც ამ ძალადობას ფუთავს, არის საშიში. მედია ხელისუფლების მიმართ თუ კრიტიკულად არის განწყობილი, ვისზეც არ უნდა მუშაობდეს ის, შეუძლებელია, საზოგადოებისთვის ხიფათს წარმოადგენდეს.

***– ხელისუფლებისთვის ხომ არის სახიფათო?***

– ხელისუფლებისთვის არის სახიფათო, მაგრამ არა სახელმწიფო განვითარებისთვის. ხელისუფლება მუდმივი კატეგორია არ არის, შესაბამისად, ეს მისი პრობლემაა და არა სახელმწიფო განვითარებისთვის.

***– ბევრი ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებით სამართალი აღსრულდა და ქიბარ ხალვაშმა წართმეული ქონება დაიბრუნა. როცა ეს დავა დაიწყო, ხალვაშმა ღიად განაცხადა, რომ ის ბიზნესმენია და მას ეს ტელევიზია არ სჭირდება. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ამაზე კომენტირებაც კი მიჭირს. საქართველოში ამნეზია არავის აქვს. ქიბარ ხალვაში ამ ტელევიზიის ისეთივე ნომინალური მფლობელი იყო, როგორც სხვები. მას შემდეგ, რაც რეალურ მფლობელებს, ანუ დვალსა და აქიმიძეს, ეს ტელევიზია წაართვეს, ოცამდე მფლობელი გამოიცვალა. ქიბარი არც ამ ტელევიზიის მფლობელი ყოფილა და არც საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე გაუკეთებია.

რატომღაც ადამიანებს ჰგონიათ, რომ ჩვენ იდიოტები ვართ და ყველაფერი დაგვავიწყდა. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოვხვდი ხალვაშის მმართველობის დროს რუსთავი 2-ის შავ სიაში.

***– რა შავ სიაზეა საუბარი?***

– ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს ვაკრიტიკებდით, შეგვიყვანეს შავ სიაში. მათზე რუსთავი 2-ს ან მხოლოდ ცუდი უნდა ეთქვა, ან არაფერი. ეს გააკეთა იმ რუსთავი 2-მა, რომელსაც ხალვაში მართავდა.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ ადამიანმა მოინანია. ამასთან, ისიც მახსოვს, რომ სააკაშვილთან მებრძოლი მას შემდეგ გახდა, რაც პირადად შეექმნა ქონებრივი პრობლემები. მე ვადასტურებ, რომ წინა რეჟიმის მიერ ის ნამდვილად დაზარალებულია და მზად ვარ, იმ ზარალის ანაზღაურებაში დავეხმარო, მაგრამ იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ის ოდესმე რუსთავი 2-ის მფლობელი იყო. არც იმის თქმა შეიძლება, რომ მან ამ ტელეკომპანიაში რაიმე გადაიხადა. ეს ზღაპრები მოუყვეს იმას, ვინც ამას ჭამს. მე პირადად ამას არ ვჭამ.

***– ზემოთ თქვით, რომ ჩრდილოეთ კორეამდე ბევრი გვიკლიაო. იქ თავისუფალი სიტყვა არ არსებობს. აქ ამის გაკეთება ხომ შეუძლებელი იქნება?***

– თავისუფალ სიტყვას ვერავინ ჩაახშობს. ამიტომაც მიკვირს, ხელისუფლების მომხრეებს რატომ აქვთ ჟრიამული ატეხილი. მოზეიმეებს მინდა შევახსენო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, ტელევიზია აღარ არის მნიშვნელოვანი აქტივი. ტელევიზიის მთავარი აქტივი ადამიანური რესურსი და საინფორმაციო ტექნოლოგიებია. სიხშირე და ტექნიკა არასერიოზულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენ ციფრულ მაუწყებლობაზე გადავედით. მულტიპლექსზე ნებისმიერ ჯგუფს პრობლემების გარეშე შეუძლია ჩაერთოს ერთ კვირაში.

აქედან გამომდინარე მაინტერესებს, რა მიაქვს ხალვაშს? ადამიანები იქიდან თუ წამოვლენ, მას ტექნიკა და კედლები დარჩება მხოლოდ. ეს ყველაფერი ერთ თვეში საპნის ბუშტივით გასკდება. პირადად მე ამ საქმეში გრძელვადიან დივიდენდს ვერ ვხედავ. ვიღაცა მართლაც დააზიანეს, მაგრამ შენ რა ხეირი მიიღე? ვერაფერსაც ვერ მიიღებ.

გარდა ამისა, დღევანდელი ტექნოლოგიებით, სატელევიზიო ინფორმაცია პოლიტიკურ პროცესში გადამწყვეტი არ არის. ამის ნათელი და პირდაპირი მაგალითია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. მთელი ელექტრონული და ბეჭდური მედია ტრამპის წინააღმდეგ მუშაობდა, საუბარია მედია-გიგანტებზე. ტრამპმა თავისი კონკურენტის დამარცხება ერთი ტვიტერის მეშვეობით მოახერხა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ტელევიზიის ფლობა პოლიტიკური შედეგის მისაღწევად უნივერსალური იარაღია, ის ძალიან ჩამორჩენილი გაგების მატარებელია.

***– თქვენი თქმით, ამით ხელისუფლებამ ვერაფერი ვერ მოიგო, აბა რატომ არიან „ოცნების“ მხარდამჭერები ასეთი გახარებულები?***

– „ოცნების“ მომხრეებს საზეიმოდ საქმე არ აქვთ. ჩემის აზრით, ხელისუფლებამ გადალახა ის წითელი ხაზი, რომლის შემდეგაც ძალიან სერიოზული საფრთხეები შეექმნა. გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით ამ პროცესით ყველაზე მეტად ხელისუფლება დაზარალდა.

არ დავაკონკრეტებ, საიდან და როგორ მივიღე ეს ინფორმაცია, მაგრამ გეტყვით, რომ ამ გადაწყვეტილების გამო ევროპელი პოლიტიკოსები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

***– ისინი რატომ გრძნობენ თავს შეურაცხყოფილად?***

– შეურაცხყოფილად იმიტომ გრძნობენ თავს, რომ ეს გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციის ხელმოწერიდან მეორე დღეს იქნა მიღებული. ისინი ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვირეშმაკულად მოექცა მათ, წინა დღეს ხელი მოაწერინეს ვიზალიბერალიზაციაზე და მეორე დღეს ასეთი რამე გააკეთესო. ამაზე მათ უკვე გააკეთეს განცხადებები.

***– განცხადებების იქეთ თუ წავლენ ევროპელები?***

– ამას აუცილებლად მოჰყვება ნეგატიური შედეგები. როდის დადგება ეს შედეგი, ეს უკვე სხვა საკითხია. ევროპელები ამას ხმამაღლა არ იტყვიან, მაგრამ პირველივე სისუსტის გამოვლენის შემთხვევაში ისინი ძალიან მკაცრად იძიებენ შურს.

***– შურისძიებაში რას გულისხმობთ?***

– შურისძიებას ფიგურალურად ვამბობ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ამაზე პასუხს რომ აგებინებენ, ამაში დარწმუნებული ვარ. აღარაფერს ვამბობ აშშ-ის ელჩის, იან კელის განცხადებაზე, რომლის გაბიაბურებაც მიდის ახლა.

ამ ვითარებაში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. ტელევიზიებთან საუბარში ამბობენ, რომ რუსთავი 2-ის საქმე 2 სუბიექტს შორის სამეურვეო დავაა და აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. იგივე ადამიანები მიდიან სახლში, ხსნიან ფეისბუქს და ერთი ჟივილ-ხივილი აქვთ ატეხილი, წერენ, ბიძინა რა მაგარი ვინმეა, ეს რა მაგარი რამე გააკეთაო.

ერთი მხრივ უარყოფენ, რომ ხელისუფლება ამ პროცესში მონაწილეობდა, ხოლო მეორე მხრივ, ფეისბუქის მეშვეობით აღიარებით ჩვენებას იძლევიან. არც კი ვიცი, მათ საქციელს რა ვუწოდო. ხელისუფლება ამაზე პასუხს აუცილებლად აგებს, ამათ კი სიხარულის ყიჟინი აქვთ გამართული.

***– ეს მათი მხრიდან, როგორც თქვენ იტყვით ხოლმე, მაზოხიზმის მორიგი გამოვლინება ხომ არ არის?***

– მაზოხიზმის გამოვლინებაა, აბა რა არის. რუსთავი 2 იმდენს არაფერს უფუჭებდა ხელისუფლებას, რაც ახლა თავისი ხელით გააფუჭეს რუსთავი 2-ის წაღებით.

ვერაფრით გაიგეს, რომ პროცესებს მხოლოდ ძალაუფლების პრიზმაში არ უნდა უყურონ. ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი ძალის გამოყენებას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოჰყვება შედეგი. რაც უფრო გამოიყენებ ძალას, ხელის შემობრუნება მით უფრო მწარე იქნება. ამ ქვეყნის ისტორიას ასეთი მაგალითი ბევრი ახსოვს, მაგრამ ჭკუას ვერავინ სწავლობს და ერთი და იგივე სპირალზე ვტრიალებთ.

***– ჟურნალისტმა მერაბ მეტრეველმა აღნიშნა, რომ ყველა ხელისუფლებამ, ერთი ტელევიზია მაინც თუ არ წაიღო, ისე ვერ ისვენებსო. ეს მართლაც ასეა და რაზე მიანიშნებს ეს?***

– კარგზე არაფერზე. წინა ხელისუფლებისგან ეს გასაკვირი არ იყო, მაგრამ ამათგან მიკვირს. ადრეც ვთქვი, რომ „ოცნება“ თავისი ბუნებით არ არის ბოროტი და აგრესიული. იგივე ჩვენი პრემიერი ავიღოთ, ძალიან ჰუმანური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. არ არიან ბოროტები, მაგრამ მიდრეკილება აქვთ, რომ ცუდ ტიპებად გამოჩნდნენ. მინდა მათ ვუთხრა, რომ მათგან ის უფრო მოგვეწონება, კარგები თუ იქნებიან. ეს ძალათი ძველბიჭობა მათ სასაცილო მდგომარეობაში აყენებს.

სააკაშვილი ცუდს რომ აკეთებდა, ზუსტად იცოდა, რა მიზანი ჰქონდა და იმ მიზნისკენ მიდიოდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ისიც კი არ იცის, რა მიზნით აკეთებს ამას. ამიტომ ვეძახი მათ მაზოხისტებს – ამ უარყოფითი რეაქციებიდან თითქოს სიამოვნებას ღებულობენ.





ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მარიამ მჭედლიშვილი

# თამარ ჩხეიძე: „საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დავალებას ასრულებს“

## „რუსთავი 2-თან მიღებული გადაწყვეტილება უსამართლო და უნამუსოა“

**რუსთავი 2-ის გარშემო შექმნილ სიტუაციასა და სხვა პრობლემებზე „ახალი თაობა" ესაუბრება ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატ თამარ ჩხეიძეს**

**თამარ ჩხეიძე:**

– გადაწყვეტილება რუსთავი 2-ის ქიბარ ხალვაშისათვის გადაცემის შესახებ ალმაშფოთებელია. ეს უსამართლობა და უნამუსობაა. მას არანაირი კავშირი არა აქვს ქონებრივ და სამართლებრივ თემასთან. ამ ტელეკომპანიამ თავისი არსებობის განმავლობაში უამრავი მფლობელი გამოიცვალა. გაუგებარია, რატომ არის მათ შორის ყველაზე კანონიერი ქიბარ ხალვაში. ქიბარ ხალვაშმა ბიძინა ივანიშვილის დავალება შეასრულა.

ის, რომ „ქართული ოცნება“ რუსთავი 2-ს „მიხედავდა“, თავიდანვე არ იმალებოდა. ამაზე საჯარო განცხადებები აქვთ გაკეთებული ბიძინა ივანიშვილს, კახა კალაძეს, სხვებს. ხელისუფლებას უნდა, გააჩუმოს მისგან დამოუკიდებელი არხი. მთავარია, რომ ეს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ტელევიზიაა და მნიშვნელობა არა აქვს, ასოცირდება თუ არა ის რომელიმე პარტიასთან. საზოგადოების ნაწილს ეს ვერ შეუგნია.

***– საზოგადოების ამ ნაწილში ეს არხი ნაცმოძრაობასთან არის გაიგივებული?***

– დიახ. ეს არის მძლავრი ტელევიზია, საიდანაც ისმის ხელისუფლებისგან განსხვავებული მოსაზრებები. არის თუ არა ის დამოკიდებული ნაციონალურ მოძრაობაზე, ეს არსებითი არაა. ქვეყნის განვითარებას, დემოკრატიას ეს ტელევიზია სჭირდება. ამ გადაწყვეტილების დაჩქარებას თავისი ახსნა აქვს.

***– რა ახსნა?***

– რუსეთს ეჩქარება საქართველოში სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტა. ის აჩქარებს საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც მის დავალებებს ასრულებს. იგულისხმება აფხაზეთის გავლით რკინიგზის ამუშავება, დეოკუპაციის კანონის გაუქმება, ოკუპაციის თემის დავიწყება. რუსთავი 2 ამ პრობლემებს ყურადღებას უთმობს. ამიტომ რუსეთს ძალიან უშლის ხელს ასეთი ტელევიზიის არსებობა.

***– გამოითქვა იდეა, რომ რუსთავი 2 გარკვეულ ფასად მის თანამშრომლებს გადაეცეს.***

– ეს არარეალურია. ეტყობა, ეს განცხადება პროტესტის ნიშნად გაკეთდა. ქიბარ ხალვაში ამაზე არ წავა.

***– სტრასბურის სასამართლოში ჩივილი რას მოიტანს?***

– სტრასბურის სასამართლოში საჩივრის შეტანა და განხილვა ხანგრძლივი პროცესია. კიდევ არსებობს გადაწყვეტილების 24 საათში შეჩერების მექანიზმი. ხანგრძლივი განხილვის დროს იქნება სიტყვის თავისუფლებისთვის მებრძოლების გაჩუმების



მცდელობა. ბუნებრივია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ურთმელიძისა და ნაზღაიძის მსგავსი მოსამართლეები არ არიან. არის შანსი, რომ სამართალმა იზეიმოს, თუმცა, შესაძლოა, რუსეთი ევროპულ სასამართლოში შეეცადოს ხალხის მოსყიდვას. რუსეთი დასავლეთში ერევა მთელ რიგ პროცესებში. ამიტომ არაფრისგან დაზღვეული არა ვართ.

***– რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი ახსენეთ. ბოლო დროს გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება რკინიგზის ამოქმედების მომხრეა?***

– ხელისუფლება ამას უარყოფს, თუმცა არსებობს შეკითხვები და ეჭვები. საქართველოში ჩამოსულმა სომხეთის ოფიციალურმა პირებმა ახსენეს ტრანსპორტის საკითხი და აქედან კმაყოფილი წავიდნენ. ცნობილია, რომ ამ რკინიგზით რუსეთთან ერთად დაინტერესებულია სომხეთი. რუსეთის მედიაში იწერება და ადრეც იწერებოდა, რომ ეს იგეგმება. ივანიშვილს ღიად აქვს გაცხადებული, რომ ამ რკინიგზის გახსნა მისი სასურველი მიზანია. თუ რუსთავი 2-ს ჩააჩუმებენ, მას ამაში გამკრიტიკებელი მოაკლდება.

***– ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს რკინიგზა გაიხსნას რუსთავი 2-ის გაჩერების შემთხვევაშიც კი.***

– დიახ. ინფორმაცია, სიმართლე მაინც გავრცელდება. საზოგადოება რკინიგზის გახსნას ეწინააღმდეგება. სამწუხაროდ, ხშირად ჩვენი საზოგადოება არაადეკვატურად ან საერთოდ არ რეაგირებს მოვლენებზე და, სწორი პოზიციაც რომ ჰქონდეს, ამას არ გამოხატავს.

***– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ხელოვნების მუზეუმიდან დათხოვნა ემუქრებათ გამოცდილ თანამშრომლებს. რა ბედი ეწიათ მათ?***

– ესენი კვალიფიციური სპეციალისტები არიან, რომელთა ერთგულებითა და თავდადებით შევინარჩუნეთ საგანძური. ეს მუშაკები გადაფოფრილი არიან ეროვნულ საგანძურსა და სიწმინდეებს, რომლებიც უნიკალურია როგორც ხელოვნების, ისე რელიგიის თვალსაზრისით.

მათი დათხოვნის მცდელობა კარგა ხნის წინ დაიწყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მუზეუმების გაერთიანება მოხდა. ახლა ოპტიმიზაციისა თუ რემონტის საბაბით ისევ განახლდა ეს თემა. დღეისათვის, საპატრიარქოსა და საზოგადოების ნაწილის ჩარევით, დათხოვნის პროცესი შეჩერდა. რა იქნება შემდეგ, არ ვიცი. მუზეუმში ამბობენ, რომ იქ ცუდი ვითარებაა შექმნილი და ვილაცას არ უნდა, საგანძური დაცული იყოს.

ნათია ხურცილავა

# გიორგი კახიანი: „მთავარია, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლების ზეწოლისგან“

## „სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ“

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი კახიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო გიორგი, რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?***

– გადაწყვეტილება მიიღო სასამართლოს დიდმა პალატამ, რომელსაც, მოგვწონს ჩვენ თუ არ მოგვწონს, პატივი უნდა ვცეთ. მთავარი არის ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ხელმძღვანელობდეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით. როგორც ჩანს. სწორედ ამ საფუძველზე სასამართლომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო და რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. ამდენად, ჩემი პოზიცია, როგორც სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლის, არის ის, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზიაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ პატივი უნდა ვცეთ მის გადაწყვეტილებას.

***– მოსაზრებები ისმის, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ეჭვქვეშ დააყენა ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლების ხარისხი. თქვენ რა არგუმენტი გაქვთ, რომ სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო?***



– მე ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა სწორედ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.

***– არის სასამართლო დღეს დამოუკიდებელი?***

– სასამართლო დღეს დამოუკიდებელი არის. ამ მიმართულებით ჩვენ არაერთი საკანონმდებლო ცვლილება თუ ქმედება განვახორციელეთ. ამდენად, სასამართლო იღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მას საქმეზე არსებული გარემოებიდან გამომდინარე სწორად მიაჩნია.

ქვეყნისთვის მედია თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის უმნიშვნელოვანესი რამ, რაც წლების განმავლობაში, სანამ „ქართული ოცნება“ მოვიდოდა ხელისუფლებაში, მთლიანად უზურპირებული და იგნორირებული იყო. სასამართლო ხელისუფლება რა მდგომარეობაში იყო, საზოგადოებას ამის შეხსენება ჩემგან არ სჭირდება. იგივე მდგომარეობა იყო მედიაში. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი ხელისუფლების მონაპოვარი არის სწორედ ის, რომ სასამართლო განთავისუფლდა იმ წნეხისგან, რომელიც მას ხელისუფლებისგან ჰქონდა. ასევე ვთვლით, რომ დღეს მედია თავისუფალია.

***– ბატონო გიორგი, თქვენ ისაუბრეთ პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობაზე, რომელიც სააკაშვილის მმართველობის დროს ხელისუფლების ხელში იყო მოქცეული. დღეს ხელისუფლების ნაბიჯები სწორედ ამისკენ ხომ არ არის მიმართული?***

– ეს არის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდა. მცდელობა იმის, რომ პროცესი, რომელიც ახლა სამართლებრივ ჭრილში მიმდინარეობს, წარმოჩნდეს, როგორც ხელისუფლების მხრიდან მედიის თავისუფლებაზე შეტევა. რეალობა კი სრულიად განსხვავებულია.

***– როგორია რეალობა?***

– ჩვენ კარგად გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მედიაპლურალიზმი და თავისუფალი მედია გარემო იმისთვის, რომ სახელმწიფო დემოკრატიულად განვითარდეს. ამ თვალსაზრისით ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები არაერთ საერთაშორისო კვლევაში არის ასახული და მედია თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლები ამ წლების განმავლობაში გაზრდილია.

***– ახლა რუსთავი 2-ზეა საუბარი.***

– რუსთავი 2 თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისგან, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ის არის თავისუფალი მედია. ის კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების გამომხატველია.

***– თუმცა, მას აქვს არსებობის უფლება.***

– რა თქმა უნდა. არ აქვს მნიშვნელობა, მედია რომელი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესის გატარებას ცდილობს. რა თქმა უნდა, მას აქვს არსებობის უფლება. მთავარი არის, რომ მედია თავისუფალი იყოს ხელისუფლების ზეწოლისგან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი განშტოების, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მე, როგორც პოლიტიკოსს, შეიძლება მომწონდეს ან არ მომწონდეს, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია. აქ მთავარია სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილება. მომავალში არ ვიცი, როგორ განვითარდება პროცესები, კიდევ შეიძლება სამართლებრივი დავის მოწმენი გავხდეთ, მაგრამ ახლა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო და მე სხვა არაფერი დამრჩენია, თუ არა პატივი ვცე ამ გადაწყვეტილებას.

***– ვიზალიბერალიზაციის ხელმოწერიდან მეორე დღეს მიიღო გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ, რატომ არა, მაგალითად, ორი კვირის მერე? ეს კითხვის ნიშნების საფუძველი გახდა. რა შეგიძლიათ უპასუხოთ იმ ადამიანებს, ვისაც აქვს ეს კითხვები?***

– ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება. ზოგადად კი შემიძლია გითხრათ, რომ სასამართლო გარკვეულ ვადებში არის მოქცეული. არ ვიცი, ამ შემთხვევაში როდის ეწურებოდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადების ვადა, მაგრამ ის, რომ გადაწყვეტილება მაშინ გამოაცხადა, როდესაც გამოაცხადა, არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მე არ ვარ ის სუბიექტი, ვინც ამაზე კომენტარი უნდა გააკეთოს. ამ დეტალებზე, ალბათ უპრიანია, სასამართლომ ისაუბროს.

***– ბატონო გიორგი, არ არის გამორიცხული, მწვავე პოლიტიკური პროცესები დაიწყოს. კარვები არის გაშლილი და კონკრეტული პოლიტიკური პარტიები გარკვეულ მოქმედებას აანონსებენ. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, როგორია თქვენი მოლოდინი?***

– ეს პროცესი თუ როგორ პოლიტიკურ განვითარებას ჰპოვებს, ეს მხოლოდ ამ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის გადასაწყვეტია. ხელისუფლების პოზიცია ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ერთადერთი იყოს: იმას, რაც კარვების ფარგლებში ხდება და რაც მათი გამოხატვის თავისუფლებასთან არის კავშირში, ხელისუფლება უზრუნველყოფს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ თუ პროცესები კანონის ჩარჩოებს გასცდება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ხელისუფლება ადეკვატური იქნება, კანონდარღვევაზე შესაბამისი რეაგირება იქნება.

# ეუთო: „რუსთავი 2-მა უნდა გააგრძელოს სრული დამოუკიდებლობით სარგებლობა“



ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში განცხადება გაავრცელა.

დუნია მიატოვიჩის შეფასებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოში მედიის დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის წინააღმდეგ მიმართული დარტყმაა. ეუთო მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს მედიის დამოუკიდებლობა და პლურალიზმი.

– არხმა უნდა გააგრძელოს სრული დამოუკიდებლობით სარგებლობა და შეასრულოს თავისი პროფესიული საქმიანობა საზოგადოების ინტერესისთვის. წამყვანი დამოუკიდებელი მედია საშუალების, რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლო მცდელობები სერიოზულად გამოუთხრის ძირს პლურალისტურ მედია გარემოს, – წერია დუნია მიატოვიჩის განცხადებაში.

**პირველი რადიო**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გელა ნიკოლაიშვილი: „თავის დროზე ქიბარ ხალვაშიც რუსთავი 2-ის წამრთმევი იყო“

## ნიკა რურუა: „რუსთავი 2 ივანიშვილმა დამორჩილებული სასამართლოს ძალით ჩაახშო“



ნონა ცაბაძე

**რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტიკოსები და უფლებადამცველები აფასებენ.**

**ნინო კალანდაძე — ნაციონალური მოძრაობა:**

— არაფერს განსაკუთრებულს და განსხვავებულს არ ველოდი. ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ იყო მიღებული. უბრალოდ, აქამდე პრობლემები შეექმნა ბიძინა ივანიშვილს, მათ შორის სასამართლოში, საერთაშორისო ზეწოლის ფარგლებში და ასევე აშკარაა, რომ ის გრძნობდა საფრთხეს. ვიზალიბერალიზაციის საბოლოო გადაწყვეტილებამდე მისთვისვე სასურველი არ იქნებოდა რუსთავი 2-ის მიმართ ასეთი უხეში გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ცალსახად შეფასებულია, როგორც პოლიტიკური პროცესი, მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაგმობილია, როგორც მიუღებელი და რეალურად უკიდურესი ზომა, რა ფორმითაც ის ებრძვის სიტყვის თავისუფლებას. არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას.

***— სხვა მიმართულებითაც იკვეთება ეს ბრძოლა?***

— ჩვენ აქ არ ვსაუბრობთ მხოლოდ მედიაპლურალიზმზე. ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოებრიობის განადგურების მცდელობაზე.

***— ეს რით გამოიხატება?***

— რეალურად ბიძინა ივანიშვილი ცდილობს ყველაფერზე კონტროლის დამყარებას. ამას ცდილობდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ. მისი ამოცანა იყო, რომ 2012-შივე კონსტიტუციური უმრავლესობით მოსულიყო ხელისუფლებაში, მათ ეს, უბრალოდ, არ გამოუვიდათ. 2016-ში მან მიზნად დაისახა, რომ ყველა გზა გამოეყენებინა, მიეღო კონსტიტუციური უმრავლესობა და ასევე მიზნად დაისახა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ბოლომდე თავის კონტროლქვეშ მოაქციოს.

ინსტიტუტები, როგორიც არის საქართველოს პარლამენტი, მთავრობა, რომელსაც მისივე დანიშნული კონსტიტუციური უმრავლესობა ამტკიცებს, ასევე სასამართლო ხელისუფლება, სადაც თავისი მორჩილი მოსამართლეები წარადგინა. ვინც არ იყო მორჩილი, ის დააშინა და დააშანტაჟა. ზოგს მიწები გადაუფორმა და ზოგს ბინები უყიდა. ახლა ცდილობს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებასა და მის მთლიანად გაუქმებას!

***— ამ ყველაფერთან რუსთავი 2-ის საქმეს რა კავშირი აქვს?***

— ამის სრულიად უნისონშია და სწორედ ამ კონტექსტში განიხილება, რომ მედია, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, არ უნდა არსებობდეს. აი, ეს არის კლასიკური ოლიგარ-



ქიული მმართველობა! საქართველოს ხელისუფლება და მისი არაფორმალური მმართველი მთლიანად გასული არიან კონსტიტუციური ჩარჩოებიდან. საქართველოს არ ჰყავს ლეგიტიმური პარლამენტი, არ ჰყავს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, ჰყავს ერთი კაცის მიერ კონტროლირებადი სასამართლო ხელისუფლება და რუსთავი 2 იყო წითელი ხაზი! საზოგადოებამ ხელისუფლებას ყველა კომფორტი შეუქმნა იმისთვის, რომ ეს ბოლო შანსი გამოეყენებინა. რადგან ვერ გამოიყენა, მან უნდა დათმოს მანდატები.

***— ხელისუფლების მხრიდან საპირისპირო განცხადებები ისმის, რომ ეს იყო კერძო დავა და სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ტელევიზია კანონიერ მფლობელს დაუბრუნა. ქიბარ ხალვაში არ არის კანონიერი მფლობელი?***

— არა მარტო მე მიმაჩნია, არამედ ყველა, ვინც ამ საკითხშია ჩახედული, ასე თვლის! იგივე საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელსაც ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი ამ პროცესის ყველა მხარე, მათ შორის სამართლებრივი, ცალსახად თანხმდება იმაზე, რომ ამ ყველაფერს სამართლებრივ საკითხთან კავშირი არ აქვს. ხალვაშს არანაირი სამართლებრივი დაინტერესება ამ საკითხში არა აქვს, ასევე არც კომერციული. ეს არის ზედმეტად აშკარა. ეს არის ცალსახად პოლიტიკური პროცესი და 2012 წლიდან უკვე ღია გახდა, თუ რა გეგმას ემსახურებოდა ეს სასამართლო პროცესები.

***— ამ საქმემ სასამართლოს ყველა ინსტანცია გაიარა. ფიქრობთ, რომ ყველგან ზეწოლის შედეგად გამოვიდა გადაწყვეტილება?***

— სასამართლოს ყველა ინსტანციაში პროცესი უდიდესი ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა. უზენაეს სასამართლოში კი იმდენჯერ გადაიდო პროცესი, სანამ სრულად არ მოხდა მოსამართლეების დამორჩილება. გადაწყვეტილების გამოტანის წინ კი სპეცნაზი და პოლიციის ავტობუსები იყო მობილიზებული. ეს ხომ ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება გუშინვე უნდა გამოცხადებულიყო. ეს ისეთი თეთრი ძაფით იყო ნაკერი, რომ ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა!

***— ნიკა გვარამიამ ქიბარ ხალვაშს წილის მიყიდვა შესთავაზა. ეს რას ნიშნავს, რომ გვარამიამ აღიარა სასამართლოს გადაწყვეტილება?***

— ამის თაობაზე ნიკა გვარამიამ თვითონ უნდა გააკეთოს განცხადება, მაგრამ სრულიად გასაგები იყო ამ განცხადების შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა გვარამია მიიჩნევს, სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო, არის პოლიტიკური და უსამართლო, ბოლო შანსს ტოვებს საქართველოში თავისუფალი მედიის გადარჩენისას და თხოვნით მიმართავს ამჟერად უკანონო მფლობელს, რომ მიიღოს შესაბამისი ზომები, ხალხის ნება გაითვალისწინოს და მენეჯმენტი გადააბაროს იმ ხალხს, რომელიც მართლა დაინტერესებულია, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი მედია საქართველოში.

***— რა გზები რჩება საბრძოლველად, თუ გაქვთ საერთაშორისო სასამართლოს იმედი?***

— ნამდვილად მაქვს საერთაშორისო სასამართლოს იმედი. ცხადია, ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოხატოს თავისი პროტესტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, უნდათ დიქტატორულ რეჟიმში ცხოვრება თუ უნდათ ევროპული საქართველო.

***— აქციები რამდენად პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და რამდენად გამწვავდება ვითარება?***

— აქციები იქნება ძალიან მწვავე. ქართველი საზოგადოება არ არის ის საზოგადოება, რომელსაც შეიძლება დასცინო და შემდეგ ეხუმრო.

* * *

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა მიიჩნევს, რომ ეს არ იყო სამართლებრივი დავა და იყო წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

***— ბატონო ნიკა, მიგაჩნიათ, რომ ქიბარ ხალვაში არ არის რუსთავი 2-ის კანონიერი მფლობელი?***

— რა თქმა უნდა, არ არის. ეს არ იყო სამართლებრივი დავა, ეს იყო სუფთა პოლიტიკური საქმე. რუსთავი 2 და სიტყვის თავისუფლება ივანიშვილმა უკვე დამორჩილებული სასამართლოს ძალით ჩაახშო! მას ამის უფლება არ უნდა მისცეს საზოგადოებამ, ვინაიდან სიტყვის თავისუფლება არის წინაპირობა ყველა სხვა უფლებისა. ეს არის საყოველთაო უფლებაზე გალაშქრება, ძალიან ღია და თავხედური, ოლიგარქის მხრიდან!

ეს არის სრულიად დაუშვებელი და ხელისუფლების ლეგიტიმურობას



აყენებს ეჭვქვეშ. ხელისუფლება დაქირავებული მსახურია. როდესაც ეს მსახური დამქირავებელს თავზე აჯდება, ის უნდა შეიცვალოს! ეს არის სიგნალი და ამაზე მკაფიო სიგნალი არ არსებობს, რომ ქვეყანაში ტირანიის დამყარება სურთ.

***— ხელისუფლების მხრიდან გვესმის შეფასებები, რომ ისინი არ ერევიან, რომ ეს არის კერძო დავა და ტელევიზიები წართმეული და დამორჩილებული სწორედ ნაციონალების დროს იყო. ამაზე რით უპასუხებთ?***

— ეს ტყუილია! არ ერევიან კი არა, ეს გადაწყვეტილება თავიდან ბოლომდე არის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არაფორმალური მმართველის ბრძანება!

***— ყველა მიანიშნებს საერთაშორისო სასამართლოზე. გაქვთ იმედი, რომ იქ მოხდება სამართლიანობის აღდგენა?***

— სამართლიანობის აღდგენა არის ივანიშვილის მოგონილი ტერმინი. სამართლიანობის აღდგენა კი არ უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს დემოკრატიის დაცვა და ეს მოხდება!

* * *

უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ იყო სამართლიანი. ადვოკატის აზრით, ამ არხის კანონიერი მფლობელი არც ქიბარ ხალვაშია.

***— ნაწილობრივში რას გულისხმობთ?***

— თუ თავიდანვე და ძირფესვიანად დაიწყებდა გინდ სასამართლო და გინდ ხელისუფლება იმ საკითხის გარკვევას, სულ თავიდან ვინ წაართვა ჯარჯი აქიმიძესა და დვალს ეს ტელევიზია, აი, ეს იქნებოდა სრული კანონიერების აღდგენა. ეს ტელევიზია სწორედ მათი შექმნილია, ეროსი კიწმარიშვილთან ერთად. თავის დროზე ქიბარ ხალვაშიც რომ ამ ტელევიზიის წამრთმევი იყო, ესეც ფაქტია. ამიტომ სამართალი ნაწილობრივ აღდგა.

***— რამდენად იკვეთება ამ ყველაფერში ხელისუფლების ინტერესი და მართლაც მოისყიდეს თუ არა მოსამართლეები?***

— ძალიან ძნელია ამაზე ლაპარაკი, როცა არანაირი ფაქტი და მტკიცებულება ხელთ არ გაქვს. როდესაც სამი ინსტანციის სასამართლოს ერთი და იგივე გადაწყვეტილება გამოაქვს, არა მგონია, აქ მართებული იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა მოსყიდული და დაშანტაჟებულია, მით უმეტეს, ახლა არ არის ის დრო, რომ ხელისუფლება ტოტალურად აკონტროლებს სასამართლოს, როგორც ეს სააკაშვილის დროს იყო. მე ვფიქრობ, რომ სამართლებრივად ეს არის გამართული და სამართლიანობა ნაწილობრივ აღდგა. თავის დროზე ხალვაშის საშუალებითაც მოხდა ამ ტელევიზიის წართმევა პოლიტიკოსების დაკვეთით.

***— რამდენად ხედავთ საფრთხეს, რომ პროცესები გამწვავდეს და უმართავ სიტუაციაში გადაიზარდოს?***

— ჩვენ ვნახეთ, რომ აგორებითაც ვერ ააგორეს, მასობრივი ხასიათი ვერ მისცეს ამ პროცესს. ეს მოხდა ერთი მარტივი მიზეზის გამო.

***— რა მიზეზის?***

— როდესაც ამტკიცებენ, რომ რუსთავი 2 თუ არ იქნება, არ იქნება საქართველოში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება, ეს არის ძალიან ფარისევლური სიტყვები. ხალხი ხედავს, რომ უამრავი საშუალება არსებობს თავისუფალი სიტყვის გამოსახატავად. აშკარა ტყუილია, რომ რუსთავი 2-ზე დგას დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება, მით უმეტეს, ყველამ იცის, რომ რუსთავი 2 თვითონ არ არის თავისუფალი და ის პარტიული ტელევიზიაა.

ტყუილს გრძნობს საზოგადოება და პროტესტი მასობრივ ხასიათს ვერ მიიღებს. იქნება გარკვეული ხანი და შემდეგ ეს პროცესი ჩაცხრება. კარგი შეთავაზებაა, თუ ჟურნალისტები დარჩებიან იქ და გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. კარგი იქნება, ეს ტელევიზია თუ შეინარჩუნებს სარედაქციო პოლიტიკას და გათავისუფლდება პარტიული ზეგავლენისგან.

## სენაკში შუახნის მამაკაცი მოკლეს



სენაკში შუახნის მამაკაცი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, მას სასიკვდილო ჭრილობა ცივი იარაღით მეგობარი ქალის 18 წლის შვილმა მიაყენა.

ცისკარა სიჭინავას ცხედარი ქუთაისში, ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. შემთხვევა სენაკში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მოხდა.

დანაშაულამდე 18 წლის ბიჭი და მამაკაცი საკუთარ სახლში შეშას ჩეხდნენ, როდესაც მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 15 წლამდე ვადით.

**კვირა**

## ნიკა გვარამია: „სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა“

შორენა მარსაგიშვილი

რუსთავი 2-ის საქმეზე სკანდალი გრძელდება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ზუსტად 24 საათში, საზოგადოება ახალი გადაწყვეტილების მომსწრე გახდა. სტრასბურის სასამართლომ სარჩელის შეტანიდან რამდენიმე საათში მიიღო გადაწყვეტილება და უზენაესის გადაწყვეტილება შეაჩერა.

სტრასბურის სასამართლოში რუსთავი 2-მა სარჩელი 3 მარტს დილით შეიტანა. საღამოს 9 საათზე კი არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ერს უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ ამცნო.

გენდირექტორის თქმით, სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.

— სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან ძალიან სასიხარულო ცნობა მოვიდა, სრულიად უპრეცედენტო, რომელიც ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სტრასბურის სასამართლომ პირველად საკუთარი არსებობის ისტორიაში შეაჩერა საქმის აღსრულება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. მსგავსი ზომა სტრასბურის სასამართლოს არ გამოუყენებია არასდროს, გარდა იმ საქმეებისა, რომელიც ეხება ადამიანების წამებას, საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს ან ეხება ექსტრადირებას.

არც საკუთრების უფლებასთან მიმართებაში და არც გამოხატვის უფლებასთან მიმართებით არც ერთ ვითარებაში სტრასბურის სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია. ეს არის ისტორიული შემთხვევა. ერთი მხრივ, რუსთავი 2-ის საქმემ და საქართველოს სამარცხვინო სასამართლო

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# როგორ იცვლებოდნენ მფლობელები რუსთავი 2-ში

## ტელეკომპანიის 23-წლიანი ისტორია



**როგორი იყო რუსთავი 2-ის ისტორია დასაწყისიდან დღემდე და როგორი იცვლებოდა მისი მფლობელების ისტორია? აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" 2013 წლის ანგარიშშია მოცემული.**

ანგარიშის თანახმად, ტელეკომპანიის დაარსებიდან, 1994 წლიდან 2004 წლამდე, ტელევიზიას დამფუძნებლები დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე დაეროსი კიწმარიშვილი ფლობდნენ. 2004 წლიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდა, 2012 წლამდე ტელევიზიას მფლობელები დაახლოებით 20-ჯერ შეეცვალა.

ხშირად ეს საეჭვო გარიგებების შედეგად ხდებოდა, რომლებშიც მიხეილ სააკაშვილთან, ნაციონალური მოძრაობის მთავრობასთან დაკავშირებული პირები მონაწილეობდნენ.

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 2 მარტამდე კი ტელეკომპანია ძმები ყარამანიშვილების მფლობელობაში იყო.

### რუსთავი 2 ვარდების რევოლუციამდე

1994 წლიდან 2004 წლამდე რუსთავი 2-ის თითოეული დამფუძნებელი – ეროსი კიწმარიშვილი, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე – არხის 33.3%-ს ფლობდა.

2000-იანი წლებისათვის რუსთავში დაარსებული ტელევიზია ქვეყნის უმსხვილეს კერძო ტელეარხად იქცა, რომელიც შევარდნაძის მთავრობას ხშირად აკრიტიკებდა. რუსთავი 2-ის მიერ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებამ საპროტესტო აქციებს მისცა ბიძგი, რასაც ვარდების რევოლუცია და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა.

### რუსთავის 2-ის დამფუძნებლების გასვლა წილიდან

2004 წლის თებერვალში რუსთავი 2-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი სავაჭრო პალატის პრეზიდენტად დაინიშნა, რამდენიმე თვეში კი ტელეკომპანიის დირექტორი და 10%-ის მფლობელი ნიკა ტაბატაძე (ტაბატაძემ თითოეული დამფუძნებლისგან 3.33% მიიღო) საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა.

ტელევიზიის კიდევ 2 დამფუძნებელი – დვალი და აქიმიძე კი იხსენებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მათ არხის დათმობას სთხოვდნენ. ყოფილი მფლობელების თქმით, ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, მათ რუსთავი 2 არ დათმეს.

როგორც დვალმა და აქიმიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" განუცხადეს, ამასობაში მათი ურთიერთობა კიწმარიშვილთან დაიძაბა. 2004 წლის 11 ივნისს კიწმარიშვილმა რუსთავი 2-ის გაკოტრების პროცედურები წამოიწყო.

იმავე პერიოდში ტელევიზიას მილიონობით ლარის დავალიანება ჰქონდა. დვალისა და აქიმიძის თქმით, გაკოტრების შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ მდგომარეობა დაიძაბა – მსესხებლებმა ვალების დაბრუნება მოითხოვეს და იმისთვის, რათა სესხის აღებისას გარანტიად ჩადებული პირადი საკუთრება არ დაეკარგათ, თავადაც (დვალი და აქიმიძე) იძულებულნი გახდნენ, რუსთავი 2 გაეყიდათ.

რუსთავი 2-ის მფლობელობის მრავალჯერადი ცვლილება სწორედ ამ მომენტიდან იწყება.

### ქიბარ ხალვაშის გამოჩენა რუსთავი 2-ში

2004 წლის 16 ივნისს პაატა კარსანიძემ, რომლის ბიზნესსაქმიანობაზეც ცნობები არ მოიპოვება, ვალებში მყოფი რუსთავი 2-ის 60% შეიძინა (30-30% ჯარჯი აქიმიძისგან და დავით დვალისგან), იმავე დღეს კი წილები სრულად ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა.

ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, კარსანიძემ თითოეულ მფლობელს 100 ათასი ამერიკული დოლარი გადაუხადა, ხალვაშს კი წილები 200 ათას დოლარად მიჰყიდა. ხალვაშის კომპანია შპს „პანორამამ" ნიკა ტაბატაძის 10% და ეროსი კიწმარიშვილის 30%-ც შეისყიდა.

საჯარო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ტაბატაძემ წილები ნებაყოფლობით დათმო და სანაცვლოდ 200 ლარის ანაზღაურება მიიღო, რაც მის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხა იყო, ეროსი კიწმარიშვილმა კი თავისი წილების სანაცვლოდ 50 ათასი დოლარი მიიღო.

ოქტომბერში კიწმარიშვილმა სავაჭრო პალატის პრეზიდენტის პოსტი დატოვა და აღარც რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობაში ფიგურირებდა. მედიაში გავრცელებული ცნობების მიხედვით, მისი მეგობრული ურთიერთობა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან დასრულდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ქიბარ ხალვაში ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი იყო. ოქრუაშვილს სხვადასხვა დროს მთავარი პროკურორის (2004), შინაგან საქმეთა მინისტრის (2004), თავდაცვის მინისტრისა (2004-2006) და ეკონომიკური განვითარების მინისტრის (2006) თანამდებობები ეკავა.

ხალვაში „პროქტერ ენდ გემბლის" სადისტრიბუციო ქსელსა და „პეპსის" ფლობდა. 2007 წლის დეკემბერში, მას მერე, რაც ოქრუაშვილმა სააკაშვილის მთავრობა დატოვა, ხალვაშის კომპანიის საცავები ხანძრის შედეგად დაიწვა.

### რუსთავი 2-ის წილები ბეჟუაშვილების ოჯახმა შეიძინა

2005 წლის დეკემბერში „საქცემენტმა" ქიბარ ხალვაშის კომპანია „პანორამასგან" რუსთავი 2-ის 22% 131,994 ლარად შეიძინა, „საქცემენტის" 100%-ის მფლობელი კი მაშინდელი დეპუტატის დავით ბეჟუაშვილისა (ნაციონალური მოძრაობა) და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის (2005-2008) გელა ბეჟუაშვილის მამა, რობერტ ბეჟუაშვილი იყო.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „საქცემენტისგან" ეს წილები ისევ რობერტ ბეჟუაშვილის კომპანიამ „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" შეიძინა. ჯგუფს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" ფლობს, რომელიც, თავის მხრივ, მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის" მფლობელობაშია.

„ჩემექსიმ ინტერნეიშენალის" პარტნიორი დავით ბეჟუაშვილი იყო, თუმცა ამ კომპანიიდან მიღებული რაიმე შემოსავალი დეპუტატის დეკლარაციებში აღნიშნული არ ყოფილა.

2006 წელს ხალვაშმა – ტელეკომპანიის 78%, ბეჟუაშვილმა კი მისი 22% შეიძინა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" პირველი სტერეოს 65%-საც ფლობდა.

### ოფშორული მფლობელები

2006 წლის აგვისტოში რუსთავის 2-ის დირექტორი ნიკა ტაბატაძე, რომელიც მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა და არხს დაუბრუნდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. იგი კობა დავარაშვილმა ჩაანაცვლა, რომელიც, მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, იმდროინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს გიორგი არველაძესთან დაახლოებული პირი იყო.

იმავე წელს, მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა მთავრობა დატოვა, ქიბარ ხალვაშმა და მისმა კომპანია „პანორამამ" რუსთავი 2-ის 78% შპს „ჯეო-ტრანსზე" გაასხვისეს, რომელსაც ბიძინა ნიჟარაძე ფლობდა, თუმცა მისი ბიზნესსაქმიანობის შესახებ საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი.

10 დღეში „ჯეო-ტრანსმა" წილების 55% ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია „დელგადო რესურსს" მიჰყიდა. ამ ოფშორული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ლევან ყარამანიშვილი იყო, „ჯეო-ტრანსის" მფლობელობაში არსებული დანარჩენი 23% კი „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" შეიძინა, რომელიც 22%-ს უკვე ფლობდა.

2007 წლის დასაწყისში მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანია „ჯეომედია გრუპმა", რომლის ოფიციალური წარმომადგენელიც ისევ ბიძინა ნიჟარაძე იყო, „დელგადო რესურსის" 55% შეიძინა. ამ ორი კომპანიის ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა ასევე უცნობი იყო.

2007-2009 წლებში რუსთავი 2-ის დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი იყო. 2008 წელს ჩიქოვანმა რუსთავი 2-ის 30% შეიძინა (15% „ჯეომედია გრუპისგან", 15% კი – „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისგან").

საჯარო რეესტრის ვებგვერდზე არსებულ არქივის დოკუმენტებში ეს გარიგება ასახული არ არის.

ჩიქოვანი 2009-2013 წლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის პოსტს იკავებდა. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ჩიქოვანი მარეგულირებელი კომისიის წევრი გახდა, თავისი წილები ისევ „ჯეომედია გრუპსა" და „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს" მიჰყიდა, თუმცა ელექტრონულად ხელმისაწვდომ ოფიციალურ დოკუმენტებში არც ამ გარიგების შესახებ არის ცნობები.

რუსთავი 2-ის დირექტორი ჩიქოვანის ბიზნესპარტნიორი გიორგი გეგეშიძე გახდა, რომელიც „დეგსონ ლიმიტედის" (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა ამ კომპანიამ რუსთავი 2-ის 70% შეიძინა) ოფიციალური წარმომადგენელი იყო.

რუსთავი 2-ის დარჩენილი 30% ბეჟუაშვილების ოჯახის მფლობელობაში დარჩა. („საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" 30% თავის მფლობელ კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალს" მიჰყიდა.)

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, რუსთავის 2-ის მფლობელების ვინაობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. ტელევიზიების ბურუსით მოცული მფლობელობის გამო საქართველოს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აკრიტიკებდნენ.

2011 წელს პარლამენტმა ოფშორული კომპანიების მიერ მაუწყებლების ფლობა აკრძალა და ტელევიზიებსა და რადიოებს ბენეფიციარი მფლობელების გამჟღავნება მოსთხოვა.

ცვლილებები ძალაში 2012 წლის დასაწყისში შევიდა, ცოტა ხნით ადრე კი ლევან ყარამანიშვილმა რუსთავი 2-ში „დეგსონ ლიმიტედის" 60% და „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის" საკუთრებაში არსებული 30% შეიძინა, გიორგი გეგეშიძემ კი, რომელიც „დეგსონ ლიმიტედს" წარმოადგენდა, ოფშორული კომპანიისგან დარჩენილი 10%-ც შეიძინა.

### რუსთავი 2 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

2012 წლის 4 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ" საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, რუსთავი 2-ის 40% დავით კეზერაშვილის კომპანია „მედია ჯორჯიაზე" 500 ათას ამერიკულ დოლარად გასხვისდა.

თავის მხრივ, „მედია ჯორჯიამ" კი, რომელიც ამ გარიგებამდე ერთი დღით ადრე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, წილები 5 დღეში გიორგი ყარამანიშვილს იმავე ფასად მიჰყიდა. მიხეილ სააკაშვილმა ყარამანიშვილი ერთხელ საკუთარ მეგობრად მოიხსენია.

2012 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, რუსთავი 2 ძმები ყარამანიშვილების მფლობელობაშია.

ლევან ყარამანიშვილი წილების 22%-ს ფლობს, გიორგი ყარამანიშვილი კი – 18%-ს. რუსთავი 2-ის 51%-ს ტელეკომპანია „საქართველო" ფლობს, რომლის 60% ლევან ყარამანიშვილის, 40% კი გიორგი ყარამანიშვილის მფლობელობაშია, დარჩენილი 9% კი გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნის.

2012 წლის ნოემბრიდან რუსთავი 2-ის დირექტორი განათლებისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ასევე მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ნიკა გვარამია გახდა.

# ნიკა გვარამია: „სტრასბურის სასამართლომ რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხელისუფლებამ და სამარცხვინო მთავრობამ საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ახალ პრაქტიკას, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისივე განმარტებით, დოკუმენტში წერია, რომ 8 მარტამდე, ვიდრე სტრასბურის სასამართლო გაერკვევა, შეჩერებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, დანარჩენი განმარტებები კი მოგვიანებით გაკეთდება. ამასთან, სტრასბურის სასამართლომ დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვა.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასევე არის ჩანაწერი, რომ „ხელისუფლებამ თავი შეიკავოს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისგან ნებისმიერი ფორმით".

ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, რუსთავი 2 საპროტესტო აქციებს მაინც არ ანებებს თავს და 12 მარს რუსთაველის გამზირზე დიდ აქციას გეგმავს.



ნიკა გვარამიამ ყველა პოლიტიკურ ძალას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოს მოქალაქეებს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან შეკრებისკენ მოუწოდა.

– აქ იქნებიან რუსთავი 2-ის სახეები, იქნება საპროტესტო აქცია-კონცერტი რუსთავი 2-ის მეგობრების მონაწილეობით და აქ იქნებიან პოლიტიკური ძალებიც. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ იქნებიან პოლიტიკური ძალები. ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკურად სტერილურად ეს პროცესები ვერ განვითარდება, ამიტომ სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებთ პოლიტიკურ ძალებს, მიიღონ მონაწილეობა ჩვენს აქციებში, მიმართონ საკუთარ ამომრჩეველს და მოითხოვონ ის პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყანაში თავისუფალი მედიის მდგრადობას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, დემოკრატიის მდგრადობას და არ გადახვევას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზიდან, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით მესხიშვილი: „სატრანსპორტო რეფორმა უკავშირდება არა პრობლემების აღმოფხვრას, არამედ ბიუჯეტის შევსებას“

**რა მდგომარეობაა საქართველოში საგზაო უსაფრთხოების კუთხით? რატომ არ ატარებს არც ერთი ხელისუფლება საგზაო უსაფრთხოების რეფორმას და რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს და მოქალაქეების მხრიდან სავალალო სტატისტიკის შესამცირებლად?**

ამ და სხვა თემებზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარემ დავით მესხიშვილმა ისაუბრა.

***– როგორი სურათი გვაქვს ავტოსაგზაო უსაფრთხოების კუთხით როგორც ევროპის მასშტაბით, ასევე რეგიონში?***

– ჩვენ უკვე აღარ ვიმყოფებით კატასტროფის წინაშე, არამედ უკვე ვართ კატასტროფაში, იმიტომ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა არის შემდეგნაირი: საშუალოდ



ყოველწლიურად 600 ადამიანი იღუპება , 10.000-მდე სხვადასხვა სახის დაზიანებას იღებს. ამასთან, ერთი წლის განმავლობაში 7.000-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება და ეს მხოლოდ ისაა, რაც რეგისტრირებულია.

არის არარეგისტრირებული შემთხვევები, როდესაც გარიგება ხდება მძღოლებს შორის. ევროპის მასშტაბით ეს არის ყველაზე უარესი შედეგი. რეგიონში ჩვენზე წინ იყო სომხეთი, მაგრამ ჩვენ გადავასწარით დაშავებულების და გარდაცვლილების რაოდენობით. აზერბაიჯანმა კი ტრანსპორტის რეფორმა 4 წლის წინ დაიწყო და ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია.

***– რამ მიგვიყვანა ასეთ სავალალო მდგომარეობამდე?***

